ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

ბიუროს რიგგარეშე სხდომის

ოქმი №11

დ. ჩოხატაური *10 სექტემბერი 2015 წელი*

სხდომის თავმჯდომარე _ ზაალ მამალაძე.

სხდომას ესწრებოდნენ:

ბიუროს წევრები: ვლადიმერ სიხარულიძე, ზვიად მამალაძე, გოჩა ჯიქია, მარინე ბერაძე, მაია პაიჭაძე, დავით შარაშიძე, ირაკლი ახობაძე, აკაკი ყაჭეიშვილი.

არ ესწრებოდა: ქეთევან სიხარულიძე, მალხაზ ჩხიკვაძე, დავით გუდავაძე, მაია გიორგაძე, შალვა ჩანტლაძე.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა გახსნილად გამოაცხადა და სხდომის დამსწრეთ გააცნო დღის წესრიგის პროექტი შემდეგი ფორმულირებით:

,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 27 აგვისტოს N34 დადგენილებით დამტკიცებული „ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტში“ ცვლილების შეტანის თაობაზე“ დადგენილების გამოსაცემად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ.

აზრი გამოთქვა: ვლადიმერ სიხარულიძემ, მაია პაიჭაძემ, ზვიად მამალაძემ.

სხდომის თავმჯდომარემ საკითხი დააყენა ღია კენჭისყრაზე:

ღია კენჭისყრის შედეგები

მომხრე _ 9

წინააღმდეგი _ 0

(კენჭისყრას ესწრებოდა ბიუროს 9 წევრი)

დღის წესრიგი დამტკიცდა შემდეგი სახით:

1. ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 27 აგვისტოს N34 დადგენილებით

დამტკიცებული „ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტში“ ცვლილების შეტანის თაობაზე“ დადგენილების გამოსაცემად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ.

მომხსენებელი: მარინე ბერაძე

I საკითხი: ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 27 აგვისტოს N34 დადგენილებით დამტკიცებული „ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტში“ ცვლილების შეტანის თაობაზე“ დადგენილების გამოსაცემად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ.

მოისმინეს:

,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 27 აგვისტოს N34 დადგენილებით დამტკიცებული „ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტში“ ცვლილების შეტანის თაობაზე“ დადგენილების გამოსაცემად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ.

მომხსენებელი: მარინე ბერაძე

აზრი გამოთქვა:

ზვიად მამალაძემ აღნიშნა, რომ თუ შესაძლებელი იქნება საკრებულოს წევრებს უფლებამოსილების განსახორციელებლად გამოვუყოთ თვეში 20 ლიტრი საწვავი ან მოვიფიქროთ რაიმე ფორმა, რომ დავეხმაროთ მათ. სავარაუდოდ, საკრებულოს 10 წევრია დასასაქმებელი და ვფიქრობ, ამ ეტაპზე 200 ლიტრი საწვავი საკმარისი იქნება. ძირითადად ისინი ფრაქცია ,,ქართული ოცნება- დემოკრატიული საქართველოს“ წევრები არიან.

გოჩა ჯიქიამ აღნიშნა, რომ პარალელურად გადავხედოთ უნდა რამდენი დეპუტატი არის დასაქმებული სხვა სამსახურებში. ვინც არ არის დასაქმებული სხვა სამსახურში, აუცილებლად უნდა დასაქმდეს.

სხდომის თავმჯდომარემ საკითხი დააყენა ღია კენჭისყრაზე.

ღია კენჭისყრის შედეგები

მომხრე _ 9

წინააღმდეგი _ 0

(კენჭისყრას ესწრებოდა ბიუროს – 9 წევრი)

მიღებულია გადაწყვეტილება: წარმოდგენილი განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში შეტანის შესახებ.

სხდომის დამთავრების შემდეგ განცხადება გააკეთა სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ- დავით შარაშიძემ:

საკრებულოს სხდომაზე, გამგებელთან შეხვედრის დროს, სოციალურ საკითხთა კომისიაში შემოტანილი განცხადების საფუძველზე გამგებლის წინაშე დავაყენე საკითხი გორაბერეჟოულის ადმინისტრაციულ ერთეულში მცხოვრებ გოჩა მამალაძისათვის, რომელსაც დაეწვა საცხოვრებელი სახლი, ცხოვრობს სასიმინდეს (ნალია) ქვეშ, დახმარების გაწევის შესახებ. აღნიშნულის თაობაზე წერილობითაც მივმართე გამგებელს. პასუხად მივიღე, რომ მისთვის ამ წელში შეუძლებელია 2500 ლარის გამოყოფა საცხოვრებელი ფართის აღსადგენად. ასეთია მიდგომა აღმასრულებელი ხელისუფლებისა გაჭირვებული ადამიანების დახმარების კუთხით. ხომ არ აჯობებს, ყველამ ერთად ვიფიქროთ თანამოქალაქეების ბედზე?

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე *ზაალ მამალაძე*